



საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 883

2019 წლის 21 ოქტომბერი

ქ. თბილისი

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული
კომისიის თავმჯდომარის არჩევის წესის დამტკიცების შესახებ

„ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტისა და მე-8 მუხლის პირველი პუნქტის, აგრეთვე, „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს 2019 წლის 18 ოქტომბრის №5201-IX კანონის მე-2 მუხლის თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. დამტკიცდეს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარის არჩევის წესი.
2. ბრძანება ძალაშია მისი ხელმოწერისთანავე.
3. ბრძანება გამოქვეყნდეს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის ოფიციალურ ვებგვერდზე ([www.http://gnerc.org/ge](http://gnerc.org/ge)).
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6), მისი გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

გოჩა შონია

კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი